



აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N14 სექტემბერი, 2021

წყლის მონიტორინგის სისტემის დანერგვა აჭარაში

აჭარის სოფლებისა და დაბების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა აჭარაში წყლის მონიტორინგის სისტემის დაარსება და შენარჩუნებაა. აღნიშნული ნაბიჯის განხორციელება აუცილებელია, ვინაიდან, ამჟამად წყლის ხარისხის მონიტორინგი არ ხორციელდება. წყლის მონიტორინგის სისტემის მიზანია კარგი და საიმედო, ასევე ცუდი და არასაიმედო წყლის რესურსების დადგენა. პროგრამის ღონისძიებების განხორციელებით, ვიმედოვნებთ, რომ იმ ადგილებში, სადაც წყლის რესურსები დაბინძურებულია ანთროპოგენურად, წყალარინების მდგრადი სისტემის დანერგვის შემდეგ წყლის შესაბამისი წყაროების ხარისხი გაუმჯობესდება.

წყლის მონიტორინგის სისტემის დანერგვისთვის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და შესაძლებელია მათი წარმოდგენა.

„აჭარის წყლის ალიანსის“ წყლის მონიტორინგის სისტემა (AWA WMS) ინტეგრირებულია „აჭარის წყლის ალიანსის“ მართვის საინფორმაციო სისტემაში და განახლდება პერიოდულად, წელიწადში ორჯერ/ოთხჯერ - გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად. „აჭარის წყლის ალიანსის“ წყლის მონიტორინგის სისტემა (AWA WMS) აქცენტს აკეთებს წყლის ყველა წყაროზე, რომლებიც გამოიყენება სასმელი დანიშნულებით.


თავდაპირველი იდეა გულისხმობდა წყლის ხარისხზე კონცენტრირებას განსაკუთრებული აქცენტით მიკრობიოლოგიაზე, დღეისათვის „აჭარის წყლის ალიანსის“ წყლის მონიტორინგის სისტემა (AWA WMS) აქცენტს ასევე აკეთებს წყლის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. აღნიშნული აუცილებელი ხდება, კლიმატის ცვლილების ზემოქმედებიდან გამომდინარე. მდინარეებში, წყაროებსა და არტეზიულ ჭებში ნაკადების მონიტორინგი გადამწყვეტია კლიმატის ცვლილებებზე ადაპტაციის მიზნით ადეკვატური ღონისძიებების შემუშავებისთვის.

პროგრამის რეგიონში წყლის წყაროებზე - რომლებიც მარაგდება ნახევრად ურბანული დაბები და სოფლები, მონიტორინგი ხორციელდება ჯერ კიდევ პროექტირების ეტაპის დაწყებიდან. ეს ეხება დეტალურ ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ ანალიზს, აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ.

ეტაპობრივი პროცესის შედეგად, აღნიშნულ სისტემაში ჩაერთვება აჭარაში არსებული წყლის ყველა სხვა წყაროც. მონაცემთა შეკრების პროცესის დანერგვის მიზნით, მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი და სწავლება მონიტორინგის სწრაფი ტესტების გამოსაყენებლად, წყლის ნიმუშების აღების, მარტივი ანალიზის ჩატარების და „აჭარის წყლის ალიანსის“ წყლის მონიტორინგის სისტემაში შედეგის ატვირთვის მიზნით, სადაც ყოველივე აღნიშნული აჭარის რუკაზე იქნება გამოსახული.

„აჭარის წყლის ალიანსის“ წყლის მონიტორინგის სისტემის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება საიმედო და მუდმივად განახლებადი სისტემა, რაც იქნება ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება და წყლის რესურსების ამჟამინდელი და მომავალი სარგებლობისთვის ადეკვატური სახელმძღვანელო.

„აჭარის წყლის ალიანსის“ წყლის მონიტორინგის სისტემაში მომავალში ასევე ინტეგრირდება ჩამდინარე წყლების სისტემების მონიტორინგი, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დაარსდება და მათ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ აჭარის მუნიციპალური კომუნალური საწარმოები.



ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge



AJARA RURAL WATER AND WASTEWATER TREATMENT PROGRAMME

NEWSLETTER N14

SEPTEMBER, 2021

Establishing A Water Monitoring System In Ajara

In the framework of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Treatment Program, one important deliverable is the establishment and maintenance of a water monitoring system in Ajara. This step is required as currently no monitoring of water quality is in place. The objective of the water monitoring system is to be able to identify good and reliable as well as bad and unreliable water sources. By implementing program measures it is hoped that for areas where currently the water sources are contaminated due to anthropogenic contamination, the quality of the respective water sources will be improved after the introduction of a sustainable sanitation system.

The first steps for the water monitoring systems were taken and can be presented.

The AWA Water Monitoring System (AWA WMS) is integrated in the AWA Management Information System and will be updated frequently – twice/four times/year – in order to comply with the environmental regulations. The AWA WMS is focusing on all water sources that are utilized for potable water.


While initially the idea was to focus on the water quality with an emphasis on microbiology, the AWA WMS is also including quantity measurements. This becomes necessary as due to the impacts of climate change, the monitoring of flows in rivers, springs and wells becomes critical for the development of adequate climate change adaptation measures.

Water sources in the program region – supplying the semi urban dabas and the rural villages are monitored already since the start of the design phase. This regards detailed chemical and microbiological analyses, by accredited laboratories.

All other water sources in Ajara will be covered, following a stepwise process. In order to establish the data collection, inhabitants of the rural villages in the vicinity will be instructed and trained to use water monitoring quick tests (pool kits) to take samples, run the simple analyses and upload the result to the AWA WMS, where it will be depicted on the Ajara map.

With the AWA WMS there will be a reliable and frequently updated system in place allowing for educated decision making and adequate guidance for the current and future usage of water resources.

The AWA WMS will in the future also integrate the monitoring of the wastewater systems established under the program and operated by the municipal water utilities in Rural Ajara.



GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Treatment Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara. "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Waste Water Treatment Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.